- რეკომენდირებულია გაფართოვდეს „ქრისტიანული იკონოგრაფიის“ სასწავლო კურსი, რომელიც ერთ სემესტრად ისწავლება და აერთიანებს ძველი და ახალი აღთქმის იკონოგრაფიას. მოხდეს სასწავლო კურსის მოდიფიცირება, გადანაწილდეს 2 სემესტრზე და გაიმძღვროს სასწავლო კურსებად „ძველი აღთქმის იკონოგრაფია“, „ახალი აღთქმის იკონოგრაფია“.

- სასურველია გააქტიურდეს თანამშრომლობა აპოლონ ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემიასთან, კერძოდ კი ხელოვნების ისტორია/თეორიისა და რესტავრაციის ფაკულტეტთან. ხელოვნებათმცოდნეობის დარგში სამხატვრო აკადემიის გამოცდილების გაზიარება, პროფესორ/მასწავლებელთა ტრენინგებისა და სხვა სახის თანამშრომლობის გზით გაზრდის პროგრამის ეფექტურობას და გაუადვილებს აკადემიურ პერსონალს სპეციალობის მომრიგანვე არჩევითი კურსების შემუშავებაზე მუშაობას, რისი დეფიციტიც გააჩნია ამ ეტაპზე სამაგისტრო პროგრამას.

- უნივერსიტეტის მიერ პროგრამის შემუშავების და შიდა შეფასების პროცესში ჩატარებულმა შრომითი ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონის კულტურის, სამუზეუმო, საგანმანათლებლო და ტურიზმის, მას მედიის დაწესებულებებში არსებობს მოთხოვნა ხელოვნებათმცოდნე - სპეციალისტზე. კურსდამთავრებულთა დასაქმების ეფექტურობის გასაზრდელად, სასურველია კურიკულუმში არჩევითი კურსის სტატუსით შეთავაზებული იყოს „მენეჯმენტის საფუძვლები“, „კულტურის მენეჯმენტი“, „ჟურნალისტიკის შესავალი“ და „მას. კომუნიკაციების შესავალი“. მით უფრო, რომ აღნიშნულის განხორციელების რესურსი ნამდვილად არსებობს უნივერსიტეტში.

- სასურველია, შესწორდეს ცალკეულ სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზები. ასევე, რეკომენდირებულია სილაბუსებში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი და რაც მთავარია – თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს კურსების შედეგების მიღწევას.

- სასურველია, აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე მუშაობა მისი შემდგომი დახვეწის მიზნით.

- ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრების დროს და დოკუმენტაციის გაცნობით დადასტურდა სტუდენტთათვის გამოყოფილი საკონსულტაციო სათების არსებობა. რეკომენდირებულია, სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის გრაფიკი ასახული იყოს არა მხოლოდ დამოუკიდებელ დოკუმენტში, არამედ, სასწავლო კურსის სილაბუსებშიც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

## კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6

წინააღმდეგი - 0

## გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 20. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია: სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუმების შემუშავება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია. თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 21. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუმების შემუშავება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 22. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასწავლო სილაბუსებში ნაკლებად არის წარმოდგენილი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა, რაც საშუალებას მისცემდა სტუდენტებს უფრო ვრცლად გაეცნოს თანამედროვე ეპოქის კვლევის შედეგებს შესაბამის საგანში. სასურველი იქნებოდა სტუდენტს ჰქონდოდა დასავლური ლიტერატურის გაცნობის საშუალება, მით უფრო, როდესაც პროგრამა ძირითადად ინგლისური ენის კომპეტენციების გაზრდაზეა ორიენტირებული.

- სასურველია სასწავლო პრაქტიკა გადატანილიქნას სავალდებულო საგნებში, შეიქმნას სასწავლო პრაქტიკის ინსტრუქცია, სადაც შეტანილი იქნება ზოგადად პროფესიული პრაქტიკის ფუნქციები, მიზნები, ხოლო პრაქტიკის ჩატარების კონკრეტული ადგილიდან გამომდინარე (იქნება ეს მუზეუმი, სავლე არქეოლოგიური პრაქტიკა- ველი, თუ სახელმწიფო არქივის და სხვ.) პრაქტიკის სილაბუსში გაიწეროს უკვე მეტი კონკრეტულის შემცველი ინფორმაცია - მიზან-შედეგი თუ პრაქტიკული აქტივობების კვირული გეგმა.

- სასურველია სამაგისტრო სმაგისტრო პროგრამის არჩევითი საგნების ნუსხას დაემატოს სხვა საგნებიც , როგორც სპეციალობიდან ასევე მომიჯნავე სპეციალობების პროგრამებიდან . ეს საგნები შეტანილიქნას სასწავლო გეგმის ჩამონათვალში, ან მიეთითოს, რომ სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აირჩიოს საგნები სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან.

- შეფასების სისტემა სასწავლო კურსების დიდ ნაწილში უნიფიცირებულია. სასურველია, შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება სასწავლო დისციპლინათა შინაარსზე და მიზან-შედეგზე უფრო მეტად მორგებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6

წინააღმდეგი - 0

## გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

### **23. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუმების შემუშავება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე -6

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 24. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, სილაბუსები დაიხვეწოს ტექნიკური თვალსაზრისით. მაგალითად: მიეთითოს საკონსულტაციო საათები; ზოგიერთ სილაბუსში ნაცვლად ზოგადი წინაპირობისა, მიეთითოს ესა თუ ის კონკრეტული საგანი, ზოგიერთი საგნის სილაბუსში გასწორდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების განაწილება;
  - სასურველია, ასევე რომ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ გაიმიჯნოს საკონტაქტო საათების განაწილება – რამდენი დრო ეთმობა ლექციას და რამდენი ჯგუფში მუშაობას;
  - სასურველია, სილაბუსებში, შეფასების ფორმები სქემატურად იყოს წარმოდგენილი – თითოეულ აქტივობას რამდენი ქულა ეთმობა;
  - სასურველია, გამრავალფეროვნდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უახლესი უცხოური გამოცემებით;
  - სასურველია, მოხდეს პრაქტიკის სილაბუსის სრულყოფა.
- თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებები“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 25. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასატარებელი დრო (5სთ) ასახული იქნას საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაშიც როგორც საკონტაქტო საათები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომაზე 22:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 22:15 ზე.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ირაკლი გამყრელიძემ.

## 26. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი და თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას.

- სასურველია სილაბუსები (მაგ: სტუდენტური გაზეთი, სტუდენტური ჟურნალი, ინფორმაციული ჟურნალისტიკა, ანალიტიკური ჟურნალისტიკა, სამაუწყებლო მედია-რადიოჟურნალისტიკა, სამაუწყებლო მედია – ტელეჟურნალისტიკის) კიდევ უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე („ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“) კომპონენტით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებაზე. სასურველია, დაინერგოს პრაქტიკა, რომ სასწავლო კურსების მიმდინარეობისას მომზადდეს გაზეთის, ჟურნალის ელ-ვერსიები, ბლოგები, გადაცემები და ეს მოხდეს მომავალი ჟურნალისტიკისთვის საჭირო ოპერატიულობის მოთხოვნით.

- სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გაგრძელდეს მუშაობა მომავალი ჟურნალისტებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის და გაუმჯობესების შესახებ. ამჯერად, სტუდენტები დამსაქმებლების ბაზაზე გაივლიან შესაბამის საწარმოო პრაქტიკას.

- სასურველია აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე, მიზნების და შედეგების ფორმულირებაზე მუშაობა მისი შემდგომი დახვეწის და დაზუსტების მიზნით.

- სასურველია პრაქტიკული სასწავლო კურსებში (მაგ: მართლმეტყველება; კომპიუტერული დაკაბადონება და დიზაინი, ტელეგადაცემის მომზადება, რადიოგადაცემის მომზადება, ფოტოჟურნალისტიკა და სხვ.) გაწერილი შეფასების მეთოდები მეტად იყოს ფოკუსირებული ამავე კურსების სპეციფიკაზე;

- პროგრამის ფარგლებში სავალდებულოა კურსების „საინფორმაციო ტექნოლოგიები – 1“ და „საინფორმაციო ტექნოლოგიები – 2“ სწავლება. სასურველია, „საინფორმაციო ტექნოლოგიები – 1“ იყოს არჩევითი კურსი, რადგან ის მოიცავს კომპიუტერთან და საოფისე პროგრამებთან მუშაობის იმ საბაზისო უნარების ათვისებას, რომელთაც სტუდენტი შესაძლოა უკვე ფლობდეს.

- უნივერსიტეტში მიმდინარეობს კონკურსი დამატებითი აკადემიური პერსონალის შესარჩევად. სასურველია გაგრძელდეს მუშაობა მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის და შენარჩუნების კუთხით.

- სასურველია სასწავლო კურსი „სტრატეგიული წერა“ პროგრამიდან იქნას ამოსაღები, რადგან ის არ უზრუნველყოფს სწავლის მიზნების, შედეგების, თემატიკის ერთობლიობას და შესაბამის აღწერას.

- უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტთან, სასურველია, პროგრამის ფარგლებში გააქტიურდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა დასკვნაში გაჟღერებული შეფასებები შენიშვნები იყო თუ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა. ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ სარეკომენდაციო ხასიათის შეფასებები იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა თუ საერთოდ ამოიღებდნენ პროგრამიდან საგანს - სტრატეგიული წერა შეექმნებოდა თუ არა საფრთხე პოგრამის განხორციელებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანი სტრატეგიული წერა არ არსებობს. არსებობს წერის სტრატეგია. ამ საკითხზე სხვა საგნებშიც არის გამახვილებული ყურადღება და ამ საგნის ამოღება პრობლემას არ შექმნიდა.

საბჭომ იმსჯელა აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე -5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 27. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული იყოს პრაქტიკის კომპონენტი.
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში შეთავაზებული ყოფილიყო უფრო მეტი არჩევითი სასწავლო კურსი ფილოლოგიის სფეროდან.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ნათია ვაჭარაძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტი იყო პროგრამაში, ადგილზე პრაქტიკული მეცადინეობები ტარდებოდა. ექსპერტის მოსაზრება იყო რომ პრაქტიკაზე გაგვეშვა სკოლაში, მაგრამ ისინი პროგრამაში პედაგოგიკას არ ითვალისწინებდნენ პროგრამა აგებული იყო ჩარჩოს მიხედვით. კანონმდებლობა არ ავალდებულებდა პრაქტიკას. შესაბამისად პროგრამა გადიოდა შედეგზე.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა თუ რა იყო პროგრამის შედეგი, ლევან მადათოვმა სხდომაზე გამოაქვეყნა თვითშეფასების ანგარიშში მითითებული პროგრამის შედეგი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს იღებდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

საბჭომ იმსჯელა კრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -5

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 28. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ელექტროენერგეტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო კურსი – ელექტრული მანქანები და აპარატები იყოს წინაპირობა სასწავლო კურსისა ელექტრო მოწყობილობების დიაგნოსტიკა. პროგრამაში კი ეს ორი კურსი ერთსადაიმავე (მეხუთე) სემესტრში ისწავლება;

- სასწავლო გეგმაში მე-10 სვეტში წარმოდგენილია გრაფა – შემაჯამებელი ნაშრომი, რაც ფაქტობრივად ყველა სასწავლო კურსშია გათვალისწინებული სხვადასხვა სახით. სასურველია, რომ სასწავლო გეგმას დაერთოს განმარტება, სადაც მიეთითება შემაჯამებელი ნაშრომის ნაირსახეობები (პროექტი, პრეზენტაცია და ა.შ.) სასწავლო კურსების მიხედვით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს. საბჭომ იმსჯელა აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ელექტროენერგეტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -5

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ელექტროენერგეტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**29. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნება, სწავლების შედეგები ჩაშლილი იყოს კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით შემდეგ პუნქტებად: წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა.

- სასურველია გაგრძელდეს მუშაობა პროგრამის შეფასების სისტემის მიმართულებით, კერძოდ:

- საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია არ იყოს სავალდებულო „თეორიული ხასიათის შემაჯამებელი ნაშრომის“ წარდგენა.

- სასურველია დაზუსტდეს ფრაზა: „შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე სტუდენტმა უნდა მიიღოს არანაკლებ 10-10 ქულისა“; ა) ვფიქრობთ, შუალედურ გამოცდაზე მინიმალური ზღვრის დაწესება ნაკლებადაა გამართლებული; ბ) ასევე, მიგვაჩნია, რომ მართებული იქნება, თუ ფინალურ გამოცდაზე მინიმალურ ზღვრად საგამოცდო შეფასების მთლიანი ქულის მესამედს +1 ქულას ჩავთვლით. / ან: დავაკონკრეტოთ, რის უფლებას აძლევს სტუდენტს გამოცდაზე მინიმუმ 10 ქულის მიღება (მაგ.: გამოცდის გადაბარების).

- სასურველია, ნათლად ჩანდეს, როგორ და რა პრინციპით გადანაწილდება ყოველკვირეული აქტივობის 40 ქულა.

- სილაბუსებში მითითებულია, რომ სტუდენტს აქვს შუალედური და ფინალური გამოცდების გადაბარების ნება, მაგრამ არ არის დაზუსტებული, მხოლოდ ჩაჭრის შემთხვევაში შეუძლია მას ამ უფლებით სარგებლობა თუ მიღებული ქულის გაუმჯობესების მიზნითაც. მეორეც, ჩვენი აზრით, არ ღირს შუალედური გამოცდის გადაბარება, რადგან ის დანიშნულია სწავლების მე-18 კვირას, ხოლო ფინალური გამოცდები მე-19 კვირიდან იწყება. შესაბამისად, სტუდენტს გაუჭირდება საბოლოო გამოცდისათვის ეფექტურად მომზადება.

- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არაა სასურველი ჯგუფური პრეზენტაციის მოთხოვნა. სჯობს, თითოეულმა სტუდენტმა ინდივიდუალურად დაადასტუროს მასალის ცოდნა.

- საგანში „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 2“ რამდენიმე მეცადინეობა ეთმობა პრეზენტაციის მომზადებას. სასურველია, რეფერატის მომზადებაც ამავე საგნის ფარგლებში მოვთხოვოთ სტუდენტს ( და ეს შესაბამისად აისახება შეფასების სისტემაში) და არა საგანში „ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა“, რომლის შინაარსი ამგვარი უნარის გამომუშავებას არ ითვალისწინებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მთავარი მიზანია სტუდენტის ცოდნის შეფასება და ამდენად, გადაწყვიტეს დაეწესებინათ მინიმალური ქულა. თუ შუალედური ვერ ჩააბარა. მას შეუძლია გადააბაროს ან გააუმჯობესოს თავის შედეგი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თუ სტუდენტმა შუალედური ვერ ჩააბარა, ანუ ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი, სწავლის გაგრძელების მოტივაცია ეკარგება და აღნიშნა, რომ ამ მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა თუ ამოღებენ მინიმალურ ზღვარს შუალედურ გამოცდაზე.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე -5

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

### 30. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამასა და სასწავლო კურსთა სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების ჩამონათვალი უნიფიცირებულია (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული შეფასების სისტემის თანახმად), თუმცა ამავე დოკუმენტის მიხედვით: „კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება ჰქონდეს შეფასების განსხვავებული კომპონენტები სასწავლო კურსთა სპეციფიკიდან გამომდინარე“. შესაბამისად, სასურველია, გაგრძელდეს ამ კუთხით მუშაობა, რათა შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები უფრო მეტად იყოს მორგებული ცალკეულ საგანთა სპეციფიკაზე და, შესაბამისად, გახდეს უფრო მრავალფეროვანი.

